

პროექტი - №5

მრავალფუნქციური, დაბალანსებული და კომპლექსური სასუქის მიღების ტექნოლოგია

პროექტის ხელმძღვანელი - ლ. გვასალია

დაფინანსება - 10000 ლარი

ანოტაცია

პროექტის ფარგლებში შესწავლილი იქნა: აგროპერლიტის ადსორბციული უნარი აზოტის (ამონიუმის გვარჯილის) მიმართ; აგროპერლიტის ადსორბციული უნარის დამოკიდებულება ხსნარის საწყის კონცენტრაციასთან; აგროპერლიტის ბაზაზე მცირეაზოტიანი სასუქის მიღების პროცესის ოპტიმალური პირობები; სასუქის აზოტის მიმართ მოთხოვნის შესაბამისად აზოტის შემცველობის ვარირების შესაძლებლობა.

პროექტის შედეგი: შემუშავებულ იქნა აგროპერლიტის ბაზაზე მცირეაზოტიანი სასუქის წარმოების უნარჩენო ტექნოლოგიური სქემა. დაინტერესების შემთხვევაში შესაძლებელია გაიცეს საპროექტო მონაცემები მცირე ან საშუალო წარმადობის წარმოების დასაპროექტებლად.